№ 17 ყოველდღიური გაზეთი

ჩვენი
# ცხოვრება

წელიწადი 1. პარასკევი 20 ივლისი, 1912

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი, ვიდრე რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით — 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

ფართლეულობის მაღაზია

სავაჭრო სახლი ა. მ. ვართანოვი და ამხ.

ვორონცოვის ქუჩა სახლი ჭიჭინაძისა.

იშოვება დიდი ძალი ახალი მოდის ფართლეულობა. ფასები ძლიერ ზომიერია და უვაჭროთ შაბათობით ნაჭრების იაფი გაყიდვა.

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. ¢ 10 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაქტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზანი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Кvергелидзе и Рамишвили.

მუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „ჩვენი გემო“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით მათე გორგილაძე და ამხანაგობა.

მისამართი: სუდებნი ქუჩა, სახლი № 6.

## განცხადებანი

თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ.

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალაშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; 2) ვასილ კუციავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-დე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის სადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულიევთან.

ექიმი ირ. ცეხანოვსკი ღებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

თფილისი, ნაძალადევი.

ექიმი კბილისა

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა ნაძალადევში რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში.

სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას, აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგისს კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს. დილის 8—2 ს-მდი და სალ. 5—7 საათ.

## ჭიათურაში

ჟურნალ-გაზეთების აგენტთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ. „ჩვენი ცხოვრება“-ზე. მიიღება აგრეთვე ყოველგვარი განცხადებები, იმავე გაზეთში მოსათავსებლათ. ამასთანავე ზოგიერთ აქაურ მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ დროზე გაგვისწორონ მათზე დარჩენილი ანგარიში; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოვაქვეყნოთ და თუ ამ საშუალებამაც არ გასჭრა, მაშინ მათთვის უფრო შესაფერ სასტიკ ზომასაც მივმართავთ.

გაზ. ბიუროს აგენტი ჭიათურაში.

ფოთში ჩვეულებრივ მიიღება ხელის მოწერა გაზ. „ჩვენი ცხოვრებაზე“ ბინაზე მიტანის არ გადახდებათ, აგრეთვე მიიღება საგაზეთო განცხადებები.

P. S. მოვაგონებთ იმ პირებს, რომლებსაც საწი და ექვსი თვის განმავლობაში ბინაზე მიტანილი გაზეთების ფასი არ გადაუხდია, ვთხოვთ 20 ივლისამდ შემოიტანონ.

პატივის ცემით ს. დ. ორაგველიძე.

Курсистка Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметамъ, (долголѣтняя практика) специальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

ექიმი მ. მგალობლიშვილი იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 1, პოლიცმეისტრის კანცელარიის პირდაპირ.

## სკოლის რეფორმა.

რუსეთში განათლების საქმე არასოდეს არ ყოფილა საჭირო სიმაღლეზე დაყენებული. პროექტი მისი გაუმჯობესების შესახებ ერთი ძირითადი ქვაკუთხედი იყო ყოველი მინისტრის მოღვაწეობის. ამით იწყებდა იგი თავის მოქმედებას და ამითვე ათავებდა სამწუხაროთ. სხვა და სხვა გავლენის გამო, რომელსაც სფერებში ქონდა სათავე, თუ თვით მინისტრის სურვილით, ერთ პროექტს მეორე ცვლიდა, მეორეს ისევ პირველი და ასე; მხოლოდ ზოგიერთი, რეაქციონური ცვლილებები თუ ეღირსებოდენ განხორციელებას. ასე იყო „კონსტიტუციის“ წინ, ასე დარჩა მას შემდეგაც.

განათლების საკითხი ერთად ერთი საკითხია, რომელსაც თვით მესამე სათათბიროც აუცილებლათ გაუმჯობესების ღირსად თვლიდა.

საყოველთაო სწავლის შემოღება—საშუალო შკოლების რეფორმა, საშკოლო პოლიტიკის კრიტიკა,—ყველა ეს აფიქრებინებდა კაცს, რომ ახლა მაინც დავაღწევდით თავს იმ გაყინულ წერტილს, რომელსაც დღემდე სტკეპნიდა განათლების სამინისტრო.

მარა ბიუროკრატიის ლოღიკამ აქაც თავისი გაიტანა. საკითხი ახლაც კანონპროექტების ამარათ დარჩა და არც ერთს განხორციელება არ ეღირსა.

თვით სახ. დუმის ინიციატივით მიღებული საყოველთაო სწავლების პროექტი სახ. საბჭომ დამარხა თავის ბიუროკრატიულ სასაფლაოზე, საშვალო და უმაღლეს სასწავლებლების სარეფორმო კანონპროექტები კი, კასოს წინაპრისგან შეტანილი სახ. დუმაში, დაიბრუნეს უკანვე ვითომ შესასწორებლათ, მარა ამ შესწორების და გაუმჯობესების დღემდე არა ისმის რა, და რაც ისმის, კარგს არაფერს გვიქადის.

უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ მის უფლებათა საბრალო ნაშთების უწყალოთ გათელვას. მინისტრი გადაჭრით უარყოფს ფაკულტეტისაგან არჩეულ და მოწონებულ პროფესორის დამტკიცებას, თუნდაც ის საიმედო იყოს. და სამაგიეროთ ნიშნავს თავის მხრივ, ვინც მოეპრიანება. და რომ ხაზი გაუსვას თავის პოლიტიკის ნამდვილ აზრს, იგი ხშირათ არჩეულ პროფესორს არ ამტკიცებს, და შემდეგ სხვაგან კი ნიშნავს, სადაც ის არ აურჩევიათ.

ცხადია ის ებრძვის არა მარტო ლიბერალურ სულს ამა თუ იმ პროფესორისას, არამედ თვით არჩევნების სისტემას, რომელშიც მას ზედმეტი ლიბერალიზმი ელანდება.

ასე ექცევა გამინისტრებული პროფესორი თავის ყოფილ კოლეგებს.

საშვალო შკოლების ძირითადი გარდაქმნის ნაცვლად კი, როგორც გაზეთები გვაცნობებენ, კასო გვპირდება ლათინურის სწავლების გაუმჯობესებას და რუსულ გრამატიკის შესწავლის უკეთესათ დაყენებას. პირველი უნდა მიღწეულ იქნეს რომაულ სიძველეთა შესწავლით, კლასიკების ნაწარმოებთა გავლით, ერთი სიტყვით საგნის პროგრამის გაფართოვებით და გაძნელებით, რაც მოსწავლეთათვის ნიშნავს გაორკეცებულ ძალდატანებას და ასე მათი გონების ერთი ორათ დაქანცვას, დაუძლურებას. ,,ინტენსიური სწავლება‘‘, რომელიც მინისტრს მთავარ საფუძვლათ მიაჩნია ამ საქმეში, ახალგაზრდობისათვის მხოლოდ ზედმეტ სისხლის გაშრობას მოასწავებს. მათსა და მასწავლებელს შორის ამით ნორმალური ურთიერთობა, ცხადია, ვერ დამყარდება. მოსწავლენი ამით ლათინურს ვერ შეიყვარებენ. ხოლო შესწავლა საგნის, შეთვისება მისი, პირველ ყოვლისა თხოულობს საგნის შეთვისების სურვილს. სურვილი კი მოყვება საგნის სიყვარულს, მით დაინტერესებას.

დღემდე ასეთ ინტერესს ადგილი არ ქონია. პირიქით საკმაო უარყოფითი დამოკიდებულება იყო ამ ძველ კლასიკიზმის მიმართ მოსწავლეობაში. მისი სწავლების სისტემა ამას თანდათან აძლიერებდა.

ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა მოუვიდეს ამ სისტემის ინტენსიურათ წარმოებას. ახალი გეგმა მინისტრის—ახალ მსხვერპლს შეიწირავს.

მინისტრი თავის რეფორმას იმით ასაბუთებს, რომ რევიზიამ საშვალო სასწავლებლებში კლასიკების მეტისმეტ საგნების ცოდნა აღმოაჩინაო... მერე რაა აქ გასაკვირველი! არსებულ სისტემის დროს განა უკეთესს უნდა მოელოდეს კაცი?

ან რაღა კლასიციზმს მივახტეთ; რომელი საგანიც უნდა ავიღოთ, ყველაში ასეა; ყველგან მოწაფეთა სისუსტეს და თითქმის სრულ უვიცობას შევხვდებით. თვით მინისტრი აღიარებს, რომ საშვალო სასწავლებლის მოსწავლეები პირდაპირ გადასარევათ ურევენ ერთმანეთში ისტორიის სხვადასხვა ეპოქებს. მე-7-დე საუკუნე მე-17—18 საუკუნიდან ვერ გაურჩევიათ, ისტორიული პერსპექტივა მათთვის სრულიად უცნობი ხილია. სულ ბევრი რაც მათ ახსოვთ, ესაა ზოგიერთი ფაქტები, დაულაგებელი, ერთი მეორესთან დაუკავშირებელი.

როგორც ხედავთ, მეტი მნიშვნელოვანი საგანი,—ერთი ქვაკუთხედთაგანი საზოგადო განათლების, გათვითცნობიერების, ისტორია—ასე უყურადღებოთაა მიგდებული.

მარა ეს რაა. კიდევ უფრო უარესს კრიტიკასაც არ ერიდება მინისტრი. ის გულახდით აღიარებს, რომ რუსული ორფოგრაფიაც გასაოცრათ კოჭლობს გიმნაზიებში; რუსულ მართლ-წერის ცოდნა იშვიათი მოვლენაა, უცოდინარობა —კი საზოგადო სენია. სამართლიანათ შენიშნავს ამაზე გაზ. ,,რეჩი‘‘: მერე განა ციცერონის ტრაქტატის და ვირგილიის ლექსების შემწეობით შეიძლება ამის გასწორება? რას მისცემენ უვიც მოსწავლეს ეს რომაული კლასიკები?

ასეთი საზოგადო უცოდინარობა, ეჭვი არაა, შედეგია არა საერთო უნიჭობის, არამედ უვარგის საშვალო სისტემის. და სწორეთ ამ სისტემის ძირითადი ცვლილებაა საჭირო, საშკოლო სასწავლებელის გამოსამთელებლათ, მოსარჩენათ; უამისოთ მისი გაჯანსაღება შეუძლებელია. ეს ბევრჯერ თქმულა და დაწერილა კიდეც, მარა ხომ გაგიგონიათ ანდაზა: „ურაკუნე კედელსა—ყუები რეგვენსაო“. დღევანდელ ბიუროკრატიის ბურჯნიც ასეთ კედლებს წარმოადგენენ და სანამ ეს კედელი თავის ძალაში დარჩება, მანამ საშკოლო საქმე გაყინულ წერტილს არ გადაშორდება.

## ადგილობრივი პრესა.

გაზეთ „თემი“-ს მე 80 №-ში მოთავსებულია კ. ლოსიანთხეველის წერილი სახ. სათათბიროში გარჩეულ სანადელო კანონ-პროექტის შესახებ ამიერ კავკასიაში. აღნიშნავს რა დაინტერესებული მხარის თავად-აზნაურობის ენერგიულ მოქმედებას თავის რეაქციონურ მისწრაფების განსახორციელებლათ და დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლების საქმის დასამხობათ, იგი მოუწოდებს ჩვენი ერის გულშემატკივართ—წმა ამოიღონ ამ საგანზე და თავად-აზნაურთა მისწრაფებებს მედგარი ბრძოლა გაუწიონ.

გაზეთმა „თემმა“ ამას მთელი მეთაური უძღვნა, საიდანაც მოგვყავს საგულისხმიერო ადგილები:

მართლაც, რამდენი ხანია, რაც კანონპროექტი „ნადელების“ შესახებ წარედგინა სათათბიროს!.. ეს მოხდა 1908 წელს. მაგრამ ჩვენ პრესას სრულებით არ მიუღია მონაწილეობა ამ კანონ-პროექტის განხილვაში, თითქოს იგი არ შეეხებოდეს იმ ქვეყნის ინტერესებს, რომლის დაცვას ასე თავმოწონედ ჩემულობენ ჩვენი პუბლიცისტები.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთ გულგრილობას შედეგათ მოყვა თავადაზნაურობის გამარჯვება. დუმაში, სადაც ჩვენი დეპუტატები დასჩიჩინებდენ ამ საკითხს ხუთი წლის განმავლობაში, საკითხი გავიდა—კანონ პროექტი ვალდებულ გლეხთა განთავისუფლების შესახებ მიღებულ იქნა. მარა სახ. საბჭომ კანონ-პროექტი განუხილველი დასტოვა. შემდეგ „თემი“ ასეთი სიტყვებით მიმართავს საზოგადოებას:

განა ასეთი შედეგი მოჰყვებოდა ამ საქმეს, რომ ჩვენ პრესას და ჩვენ პროგრესიულ მოღვაწეებს დროზე აესრულებიათ თავის მოვალეობა, თავიანთი აზრი წარმოეთქვათ და კამათი გაემართა იმ გავლენიან წრეებთან, რომელნიც ასე მედგრად იცავდენ თავიანთ ინტერესებს.

ჩვენ მხოლოდ გულუხვად ვძებნიდით სხვადასხვა ეპითეტებს, ოდონდ კი უკადრისად მოგვეხსენებინა ჩვენი დეპუტატები სათათბიროში, თითქო, რაკი ჩვენი ჯგუფისანი არ იყვენ, ამიტომ ასე უშველად უნდა მოვქცეოდით და განზე დაგვეტოვებინა ისინი.

სრული სიმართლეა. ჩვენი დეპუტატების უკადრისათ და უღიერათ მოხსენებისთვის მოწინააღმდეგენი ხვრელშიაც კი გაძვრებიან საბუთის მოსაძებნათ. მარა მათ უკადრისათ ხსენებას ვიღა ჩივა, როცა ამით მართლა საერო საქმეს ეთხრება ძირი.

კ. ლოსიანთხეველის წერილიდან სჩანს, რომ 1908 წლის შემდეგ, როცა „ნადელების“ კანონ-პროექტები წარუდგინეს დუმის ჩვენმა დეპუტატებმა, „შეუწყვეტელი ბრძოლა იყო ამ კანონის გამო დუმის ტრიბუნაზე, თუ დუმის კომისიებში:

რასაკვირველია, მესამე დუმა ვერ შეურიგდებოდა ამ კანონ-პროექტის ძირითად აზრს: ავტორები კანონ-პროექტისა მოითხოვდენ, რომ ამიერ კავკასიის გლეხები უსასყიდლოთ განთავისუფლებულიყვნენ მებატონეების დამოკიდებულებისაგან. მიუხედავათ ამისა დუმა იძულებული იყო დაწვრილებით გასცნობოდა საქმის გარემოებას და რთული საკითხი, მისთვის სრულიად უცნობი, სავსებით გაეთვალისწინებია.

ამნაირათ გამოდის, რომ დეპუტატებს თავისი მოვალეობა პირნათლათ შეუსრულებიათ; დუმაში ყოველი ღონე უღონიათ ამ საკითხის გადასაჭრელათ, ხოლო როცა საზოგადოებრივი დახმარება ყოფილა საჭირო—ეს ვერ უნახავთ.

ყოველივე ეს ნათლათ ამტკიცებს, რომ განქიქების სურვილით გატაცებულებმა თვით თავის უმოქმედობა დაამტკიცეს; საზოგადოთ, საეროვნო საქმის ჩაშლას ხელი შეუწყვეს და ასე თავისავე თავს საბრალდებულო ოქმი წაუკითხეს...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

### საჭირო განმარტება.

ზოგიერთი ქალაქის გამგეობებმა, რომელთაც კანონით მინდობილი აქვთ საარჩევნო სიების შედგენა (მაგ. ქუთაისისამ) პენსიონერებისა და ბინის დამქირავებელთაგან განცხადების მისაღებათ, მარა საარჩევნო სიები ამ ვადაზე არ გამოუქვეყნებიათ, ქ. გამგეობა კი საარჩევნო კანონის მე-56 მუხ. ძალით ვალდებულია განცხადებები მიიღოს ყოველთვის, სანამ სიებს დაბეჭდავდეს და გამოაქვეყნებდეს. აი რას ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტება ამის შესახებ:

**„დაწესებულებები, რომლებიც საარჩევნო სიებს ადგენენ, ვალდებულნი არიან მიიღონ განცხადებები ამომრჩევლებისაგან იმ დღემდი, სანამ სიებს ფაქტიურათ გამოაქვეყნებდენ.“**

აქედან, და თვით კანონის ტექსტიდანაც, აშკარათ სჩანს, რომ ქ. გამგეობამ ამრჩევლებისაგან უნდა მიიღოს განცხადება მათი სიაში შეტანის შესახებ მანამ, სანამ სიებს არ გამოაქვეყნებს.

ამიტომ ბინის დამქირავებელმა და პენსიონერებმა უნდა განაგრძონ განცხადებების შეტანა ქალ. გამგეობაში.

# ახალი ამბები.

✦ 19 ივლისს ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეში ჩასვეს ნაფიცი ვექილის თანაშემწე გრიგოლ გიორგაძე. გიორგაძეს, როგორც რედაქტორს გაზეთ „ფონისას“, თფილისის სამოსამართლო პალატის-მიერ მისჯილი აქვს სამი თვე ციხე, გაზეთში რუსეთის ძირითად კანონების შესახებ წერილის მოთავსებისათვის,

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების ინსპექტორი ტერ—გასპარიანცი, აგრონომი იოსებ ქუთათელაძე, თავადი ლეონიძე და ბ-ნი ანდრონაკი ამ დღეებში 40-ი სახალხო შკოლების მასწავლებლების (ბათუმის დაართვის ოლქის) თანხლებით ესტუმრენ ყვირილას და საქარის სანერგე დაათვალიერეს. აგრონომმა დომენტიევმა ყვირილაში მასწავლებლებს წაუკითხა ლექცია „დამყნილ ვაზის გავრცელების შესახებ“ მასწავლებლები ყვირილიდან აჯამეთში წავიდენ. დაათვალიერეს ანანოვის მამული, ნახეს შამპანიურის და კონიაკის საკეთებელი ქარხნები. ანანოვმა თავის მამულში მას წავლებლებს სადილი გაუმართა. მასწავლებლებმა ინახულეს სოფ. კულაში, დაათვალიერეს აქ საცდელი მინდორი. კულაშში მასწავლებლებს ლექციები წაუკითხა აგრონომმა ტიმაფეევმა, ჯაფარიძემ და სხ. ლექციების დასასრულ გაიმართა საუბარი შესახებ იმისა, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის მასწავლებლებმა სოფლად მეურნეობის გავრცელებაში. აქედან მასწავლებლები დაბრუნდენ ბათუმში. ბათუმში თითოეულ მასწავლებელს დაურიგეს სამეურნეო წიგნები ღირებული 6-7 მ. და საპასუხო ანკეტები მეურნეობაზე.

✦ დღეს შესრულდა 12 წელიწადი რაც მიწას მიაბარეს ცნობილი ქართველი პუბლიცისტი ილია ხონელი. (ბახტაძე) დღეს ხონში მის საფლავზე პანაშვიდს გადიხდიან.

✦ ხონში დღიურათ გადის „ჩვენი ცხოვრება“ 70-ი „სახალხო გაზეთი“ 20-ი „კოლხიდა“ 20, „Закавказская Рѣчь“ 25, ,,თემი‘‘ 25-ი.

✦ გაზეთ ,,ბაკუს‘‘ სიტყვით ბაქოში იხსნება მომავალ ენკენისთვეში 12 საქალაქო პირველ-დაწყებითი შკოლა.

✦ პირველი პარტია კიევის. სტუდენტების ექსკურსიის ქუთაისიდან გაემგზავრება 10 ავგისტოს, მეორე პარტია-20-ს და მესამე—30-ს. ვისაც ექსკურსიით სარგებლობა სურს სიჩქარით უნდა გაუგზავნონ ხონში სტუდენტ შალვა ჩხიკვიშვილს 7-მ. და 50 კ. შემდეგი მისამართით: **Хони Шалвѣ Димитріевичу Чхиквишвили.**

✦ გაზეთ ,,Новое Время‘‘-ს ცნობით სიმფეროპოლში დაუჭერიათ ყაჩაღთა ბრბოის მეთაური ბახტაძე. ბახტაძეს გაზეთის სიტყვით—ყოლია ექვსი ქართველ კაცისაგან შემდგარი ბრბო.

✦ რედაქციამ მიიღო დარია ახვლედიანის წიგნი—ლექსთა კრებული „სევდის ჰანგები‘‘

✦ პ. ტ. ს. ცნობით—კაზანში მდინარეში ბანაობის დროს დამხრჩვალა ქართველი სტუდენტი თავადი ვახვახიშვილი. მასთან ერთად კიდევ ორი რუსი სტუდენტი დამხრჩვალა.

✦ **ს. აკეთი** (გურია) ახალ არჩეულ ჯამაგირიანი მამასახლისი კირილე თავაძე უკვე შეუდგა სამსახურის ასრულებას 8 ივლისიდან.

✦ სამკითხველოს გამგეობას ივნისის დამლევისათვის, ქონდა დანიშნული წარმოდგენა, რომელიც საპატიო მიზეზთა გამო გადაიდო. საჭიროა ადრე შეუდგენ მის მოწყობას.

✦ აკეთის საზოგადოებაში საზოგადოთ გზები ჩაოხრებულია. საჭიროა ზომების მიღება შესაკეთებლად.

✦ ჩვენში სიმინდის ფასმა საგრძნობლათ აიწია: ფუთი სიმინდი ღირს 1 მ. 10 კაპ.

✦ **ნაგომარი**. ბაზრობა უკვე დაიწყო, მოვაჭრეები ბევრია, მხოლოთ მყიდველნი ნაკლები. უფულობაა!

### თფილისი

ქალაქის გამგეობის სსტატისტიკო ბიურომ 18 ივლისს 2 საათამდე სამსახურის მიხედვით საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსთა კურიიდან—2,399 კაცი, ხოლო საერთოდან 1873.

—გუშინდლამდი ბიუროში განცხადებანი შეიტანეს და საარჩევნო სიებში ჩატანა ითხოვეს: ორმა—ცოლების ცენზით, 10 ბინის დამქირავებელმა, რომელნიც ბინის გადასახადს არ იხდიან და 4 პენსიონერმა.

✦ ამ ჟამათ ემჩნევა, რომ მთელს რუსეთში ნავთს ხელოვნურათ აძვირებენ. ამიტომ სამარის საბირჟო კომიტეტს შუამდგომლობა აღუძრავს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე, ზომები მიიღოს ნავთის ხელოვნურათ გაძვირების წინააღმდეგ და ნავთის ფასი წესიერ დონეზე დააყენოს. თავის მხრივ სამარის კომიტეტი თფ. საბირჟო კომიტეტს სთხოვს, მხარი დაუჭიროს მისგან აღძრულ შუამდგომლობას.

✦ **თფილისის ხალხთა გამრთობმა საზოგადოებამ** უკვე შეიძინა ვერაზე ალაგი აუდიტორიის ასაგებათ, რომლის გარშემო თავს მოიყრის ვერაზე მცხოვრები ყველა ეროვნება. ზემო-ხსენებული საზოგადოება მუშტაიდის ბაღში მართავს უფასო სეირნობას 20, 21 და 23 მკათათვეს, რათა გააძლიეროს აუდიტორიის ასაგები თანხა (ს. გ.)

### ფოთი.

ქალაქის გამგეობამ უკვე გამოაკრა განცხადება, რომლითაც აცნობებს მცხოვრებთ, რომ მეოთხე სათათბიროში ამომრჩეველთა სია გამოკრული იქნება 1-დან 7 აგვისტომდე. რადგან ბევრი მიმართავს უბნის ბოქაულებს მოწმობების ასღებათ და რადგან უბნის ბოქაულები ხშირათ უარს ეუბნებიან დამოწმებაზე, ადგილობრივმა პოლიცმეისტერმა განმარტა, რომ ასეთები გაუგზავნონ მას, რადგან საჭირო მოწმობებს არჩევნების შესახებ იძლევა არა ბოქაული, არამედ პოლიციის სამართველოო.

— რუსის სანაოსნო საზოგადოებაში მომხთარ ინცინდენტის გამო, როგორც ვსწერდით, გამოგზავნილ იქნა სარევიზიოთ რევიზორი ბ-ნ მანგუბი, რომელიც რამდენიმე დღეა აწარმოებს რევიზიას. ადგილობრივი საზოგადოება მეტად დაინტერესებულია კასირ ევგენიევის ხვედრით და [illegible] ადევნებს თვალ-ყურს რევიზიას, რომელიც, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ კარგ ხანს გასტანს.

— მეოთხე სათათბიროში არჩევნების შესახებ აქ ჯერ-ჯერობით მცხოვრებნი დიდ გულ-გრილობას იჩენენ. არჩევნებში მონაწილეობის მიღების მსურველნი ჯერ-ჯერობით ძლიერ ცოტა გამოჩნდენ. გულ-გრილათ ეკიდება საქმეს მასა, მაგრამ მასზე უფრო გულ-გრილათ კიდევ აქაური ინტელიგენცია, რომელიც თავის გართობას უნდება ბახურისა და და სხვა მაგვარების საშვალებით. ეს ხალხი კიდევ გუშინ ტყავიდან ძვრებოდა, რომ მისი კანდიდატი გაეყვანა ამომრჩევლათ, დღეს კი მას ყოველივე ხალისი დაკარგვია და ვერც კი გრძნობს თუ რამე ხდება მის გარშემო. საჭიროა ენერგიული მუშაობა, თორემ მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

### ხონი.

— ინსპექტორ კარპოვის მიერ მოწვეული მასწავლებელთა კურსები პირველ რაიონის მასწავლებელთაგან 15 ივლისს უკვე დასრულდა.

— მათხოჯის სამკითხველომ ჯაი ხანია მოქმედება დაიწყო. მას შესაფერათ მორთული შენობა აქვს და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების გარდა ერთი სტახტო ქალაქის გაზეთიც მოდის.

— სასტატო სემინარიაში წელს მისაღები ეგზამენები 25 მარიობისთვიდან დაიწყება. მიიღებენ 25 მოწაფემდე.

— ამავე სასწავლებელში წელს სწავლა დაასრულეს 24 კაცმა.

— წელს ხონში ღვინის და სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს.

— ეს ერთი ხანია, რაც სამოქალაქო შკოლის ინსპექტორმა მამალაძემ საჩივარი აღძრა, რითაც თხოულობდა დაბრუნებოდა მის შკოლას ის ძველი შენობა, რომელშიაც ეხლა ვაჟთა პროგიმნაზიაა მოთავსებული. ეს საჩივარი აგერ ორი წელია, რაც გაჭიანურდა და ეხლა კი მზრუნველმა წინადადება მისცა ხონელებს—დააკმაყოფილონ ინსპექტორი მამალაძის თხოვნა, თორემ—იძულებული ვიქნები პროგიმნაზია დახურო და მისი შენობა სამოქალაქო სასწავლებელს დავუბრუნოვო. საზოგადოებამ ამის შესახებ კომისია აირჩია, რომელსაც დაავალა საქმის სასურველათ მოწყობა.

# დეპეშები.

პ. ტ. ს.

18 ივლისი.

### რუსეთი.

**კიევი.** დააპატიმრეს მაძებარ პოლიციის ყოფილი უფროსი კრასოვსკი, რომელიც კერძოთ იძიებდა იუშინსკის მკვლელობის საქმეს; მას აბრალებენ ხაზინის ფულის გაფლანგვას, როცა ის სკვირის მაზრაში ბოქაულათ იყო.

**ხარბინი.** ამბობენ მანჯურიის ჩინელებს განზრახვა აქვთ ბოიკოტი გამოუცხადონ ამურის მხრის ბაზრებს სამაგიეროთ იმ სასტიკი ზომებისა, რომელიც მიღებულია რუსეთის საზღვრებზე ჩინეთის საქონლის შემოტანის წინააღმდეგ. ჩინეთის საქონლის აქედან გაზიდვა გრძელდება შეუჩერებლივ.

**რიგა.** დილის 11 საათზე ცნობილი მფრინავი აბრამოვიჩი, რომელიც აქ ბერლინიდან მოფრინდა, ახლა პსკოვისაკენ გაფრინდა.

**ირკუტსკი.** შედგა სენატორ მანუხინის დადგენილება, რომ სისხლის სამართლის ძალით აღძრულ იქნას საქმე [illegible] სამთამადნო ოლქების პოლიციის ყოფილი უფროსის ვიტიმსკის და [illegible] ტრეშჩენკოს წინააღმდეგ; აღნიშნული პირნი პასუხგებაში იქნებიან მიცემული კანონთა დებულების 338, 339 და 341 სტატიების ძალით, რადგანაც 4 აპრილს ლენის ოქროს მადნებში ჯერ დაუდევრობა გამოიჩინეს და მერე თავის უფლებასაც გადააჭარბეს, რასაც მოჰყვა მეტათ დიდი და სამწუხარო შედეგი. ტრეშჩენკო სამსახურიდან დროებით გადაყენებულათ ითვლება, ხოლო საქმე გადაეცა განსაკუთრებულ საყურადღებო საქმეთა ირკუტსკის ოლქის სასამართლოს გამომძიებელს. სენატ. მანუხინი კიდევ სამ დღეს დარჩა და მერე საქმის გამოსარკვევათ პეტერბურგს გაემგზავრა.

**პეტერბურგი** გაზეთ ,,რეჩისა‘‘ და ჟურნ. ,,სოვრემენი მირის‘‘ რედაქტორები ლენის ოქროს მადნებში მომხდარ ამბების შესახებ სტატიების მოთავსებისათვის დააჯარიმეს 500 მან. თითოეული.

### უცხოეთი.

**ბერლინი.** შტუტგარტიდან გაზეთებს ატყობინებენ, რომ ვიუსტემბერგის ექიმმა ადოლფმა ცელერმა საიმედო შედეგებს მიაღწია კიბოს ავათმყოფობისაგან განკურნების საქმეში; ის ექიმობს უაპერაციოთ ახალი მეთოდით, რომელიც ჯერ-ჯერობით მის საიდუმლოებას შეადგენს; 57 ავათმყოფში 44 უკვე მორჩენია, ხოლო მომკვდარა მხოლოთ სამი.

**შანხაი.** დუდუს თანამდებობა შანხაიში გააუქმეს; დუდუმ, რომელიც რევოლიუციის ერთ-ერთ მეთაურათ ითვლება, სამსახურიდან გასვლა ითხოვა.

### სპარსეთი.

**ლონდონი** ნავთსადგურის ბევრ ალაგას სერიოზული არეულობაა დაწყებული. ბევრია დაჭრილი.

### უცხოეთი.

**უსკუბი.** ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი თავის საიდუმლო წერილში განუმარტავს თავის საიდუმლო ორგანიზაციებს, რომ საჭიროა მთავრობის გამოცვლილი, რადგანაც ქიამილ ფაშამ და ფერიდ ფაშამ თავის ინტერესების [illegible] მოახერხეს ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ სულთანის ამხედრებაო. საიდ ფაშამ მინისტრების მოულოდნელათ სამსახურიდან გასვლა ითხოვა.

**თავრიზი.** არდებილიდან იუწყებიან, რომ იქ ღამით 15 ივლ. შახსევანები თავს დაეცენ გენერალ ფიდაროვის რაზმს; თავდაცემა უკუ აქციეს, მარა მოკლულ იქნა ერთი სალდათი, დაიჭრა 6 კაცი, ამათში სალიანის პოლკის ერთი აფიცერი.

რუსეთის კაპიტანმა სროლითვე უპასუხა ოსმალებს; ამ დროს მას მიეშველა კაშკულან კატურის ხანის ძმა, ახმედ აღა

# ფელეტონი.

## ძე კაცისა.

(გაგრძელება*)

### VII.

ჯერ კიდევ გიორგი დატუსაღებული არ ყოფილა, რომ ნინამ იცოდა — ვასო ზამბახიძეს მოვწონვარო; ესე იგი — ეს იცოდა თურმე მან, მაგრამ როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში ხდება, ეს ცოდნა არ იყო გარკვეული, შეგნებული ცოდნა. არაოდეს ამის შესახებ არ უფიქრია ნინას, თუმცა ეს იცოდა. ჰ იცის ნინამ ეხლა, რომ ეს ცოდნა, ცოდნა იმისა, რომ ვასოს იგი მოსწონს, რომ ეს ნინას სიამოვნებდა. ესეც შეგნებულათ იცოდა თურმე ნინამ ჯერ კიდევ გიორგის დაპატიმრებამდე. დიახ, ეს აგრე იყო. პირველი დღიდანვე, რაც ნინა გაეცნო თავის ქმრის გიორგის ამხანაგს, ვასო ზამბახიძეს, პირველ დღიდანვე, შეატყო მან, რომ მოეწონა ვასოს ნინა, როგორც ქალი და ეს გარემოება ნინას არ სწყენია ჩვეულებრივად. ნინა ბევრს მოსწონდა, ბევრი ეარშიყებოდა მას ცხადათ თუ მალულათ. თამამათ შეუძლია თქვას, რომ ცხრა მეათედი გიორგის ამხანაგობისა, ნინას ისეთი თვალით უცქეროდა, რომლის მნიშვნელობა ადვილი მისახვედრია; იცოდა მან, რომ ბევრ იმათგანს დიდი ბრძოლა არ დასჭირდებოდა თავის თავთან, რომ ნინასთან ერთად გიორგი დაეტყუებინა. რა გინდ ძლევამოსილი, სათნო, ზნეობასალი ჰ გულუბრყვილო იყოს დედაკაცი, ასეთ შემთხვევებში ის მაინც ხედავს ყველაფერს. და ნინამ ბუნებით სალმა და ზნეობრივმა ადამიანმა, იცოდა ეს, მაგრამ ეს გარემოება იწვევდა მაში მხოლოდ ზიზღსა და პროტესტს. ხშირად ის ძალას ატანდა თავს, რომ ეს გრძნობა ანტიპატიისა გიორგის ამხანაგებისადმი მას არ გამოეაშკარავებინა. დედაკაცის ცხოვრება, მით უმეტეს ქართველი დედაკაცის, სხვათა შორის კიდევ იმითია აუტანელი და ძნელი, რომ მას ასეთი დამოკიდებულება მამაკაცების მხრით უმეტეს შემთხვევაში ნორმალური გონია, თითქოს ეს ასეც უნდა იყოსო, თითქოს რაკი იმას კაბა აცვია და დედათა სქესს ეკუთვნის, მამაკაცი სწორეთ ასეთი თვალით უნდა უცქეროდეს მას, რომ ბრძოლა ამის წინააღმდეგ სასაცილოა და მეტიჩრობაო. და თუ ვინმე გულში პროტესტს აცხადებს ამის წინაშე, საჯაროთ ფარავს. ნინაც ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა. მას აღიზიანებდა, აბრაზებდა ის, რომ ეს იდეალისტი, თავგანწირული კაცები, გიორგის ამხანაგები, ამ შემთხვევაში არაფრით არ განირჩეოდენ სხვებისგან, იმცირებდენ თავს, კარგავდენ მიმტაცველობას, შარავანდედს. და აი ამ საერთო შეხედულებიდან ის თურმე ერთის შესახებ გამონაკლს შეადგენდა. ვასოსაც ამჩნევდა ის ასეთ დამოკიდებულებას, მაგრამ ეხლა არ შეუძლია მოიგონოს მან ერთი წუთი რა არის, ერთი მომენტი, რომ მას ეგრძნოს საწყენი ამის გამო...

ნინას გულში გაეცინა. მაშ რაა აქედან? იკითხა მან და წამსვე მიუგო: ის, ჩემო კარგო, რომ ფარისევლობა იყო შენი პროტესტი და ზიზღი. და ფარისევლობაა შენი ფილოსოფიაც—ასე და ისეო მამაკაცების შესახებ. ქალს როცა არ მოსწონს მისი მოტრფიალე, ტრფიალებაც არ უნდა მისი, ეჯავრება ის. შენც არ მოგწონდა სხვები ისე, როგორც ვასო, აქედან გამოდიოდა შენი მაღალ ზნეობრივი პროტესტი „იმათი“ უზნეობის წინააღმდეგ... ნინას ისევ გაეცინა გულში—მაშ თავი რათ მოგწონდა „შემწვარ ტარანასავით“, ნინაჯან!

— სიცრუეა, როცა ამბობენ—დედაკაცი მაშინ ღალატობს ქმარს, როცა ფიზიკურად ღალატობსო. არა, დედაკაცი პირველად ღალატობს საყვარელს, როცა რწმუნდება—ამასა და ამას მე ვუნდივარო და როცა ეს მას გვრის სიამოვნებას. აი პირველი ღალატი, ნამდვილი ღალატი, შემდეგი კი გაგრძელებაა ამ ღალატის და მეტი არაფერი... როცა დედაკაცი იხედება სარკეში და თან ფიქრობს—მე ასეთს დამინახავს ესა და ეს და მე ასეთი იმას მოვეწონები, ამიტომაც ასეთად ჩაცმული უნდა წავიდეო, იმ სარკის წინ, იმ ოთახში, სადაც მის მეტი იმ დროს არ ყოფილა, იქ, იმ დროს უღალატა მან საყვარელს, ქმარს, საქმაროს. ნამდვილი ღალატი, მძიმე ღალატი ეს არის. როცა დედაკაცი ამჩნევს მოტრფიალეს და არ იღებს ზომებს იმის წინააღმდეგ—აი ღალატი, ნამდვილი ღალატი... რამდენჯერ უღალატე შენს ქმარს, გიორგის, ნინაჯან! შენ ხომ ამჩნევდი ვასოს არშიყობას—გქონდა რამე ამის საწინააღმდეგო? აბა კარგათ მოიგონე ყველაფერი, დაფიქრდი.

დაატუსაღეს თუ არა გიორგი, მეორე დღეს ვასო ამბის გასაგებათ მოვიდა. რა უნახეს გიორგის? რა ედება ბრალათ გიორგის თუ იცის ნინომ? საშიში ხომ არაფერია! ნინა არ შესწუხდეს, ალბათ მალე გაანთავისუფლებენ! ვერ წარმოიდგენთ რა დასაკლისია ეხლა გიორგის დატუსაღება—ისე ცოტა დარჩა მუშა. იცით, კარგათ მოუარეთ გიორგის, ხელი შეუწყვეთ, კარგია ტუსაღისთვის მოყვარული ადამიანი რომ დარჩება გარეთ!.. ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ შეამჩნიე თუ არა შენ, ნინაჯან, თუ ამაეპს გარდა **კიდევ რაღაც სხვა** ვასოს? შეამჩნიე არა? შენ პატიოსანი ქალი ხარ, თქვი სიმართლე! შეამჩნიე... მერე? შენს გულში არ დაბადებულა, ნინა, პროტესტი; შენ არ აღშფოთებულხარ, ნინა, როცა იგრძენ; რომ შენი ქმრის დატუსაღება, შენი საყვარელი ქმრის დატუსაღება, ერთი მხრით არც ისე სწყენია შენი ქმრის მეგობარს... რამდენათ მხეცია თურმე ადამიანი! ვინ უწოდა მას ძე კაცისა, როცა ის სისხლი სისხლთაგან და ხორცი ხორცთაგან არის მხეცისა! რამდენათ მხეცია თურმე ადამიანი! აკი ის აცეკვდა, ათამაშდა, მეგობრის საფლავზე-მისი ქონება დამრჩებაო! რა ქენი მაშინ შენ, ნინაჯან!

ნინას გაეცინა გულში.

[illegible]ვასოს გარდა სხვებიც დადიოდენ ნინასთან. ხუმრობდენ, ცელქობდენ და მიდიოდენ, და ყველას ერთნაირათ ხვდებოდა ნინა, მაგრამ ვასოს სტუმრობა გერჩია თუ არა შენ!

და მოხთა ერთხელ, რომ გიორგის ამხანაგმა პირდაპირ გამოუცხადა ნინას სიყვარული.

ნინა წამოდგა, გაიარ-გამოიარა და მიუბრუნდა იმას.

— მე თქვენ უფრო პატიოსანი კაცი მეგონეთ!

— ეს როგორ? სცადა გაჯავრება ყმაწვილმა.

— ეს როგორ და აი აგრე: თქვენ რომ მართლა გყვარებოდით, ამის თქმის ნებას არ მიცემდით თავს.

— რატომ ნინა?

— რატომ, ნინა, და იმიტომ, რომ ჩემი ქმარი და თქვენი ამხანაგი გიორგი დღეს ტუსაღია... სანამ ის ტუსაღია, თქვენ მაინც არ უნდა გეთქვათ ეს...

— ვითომ რაო, რომ ტუსაღია?

— თუ ეს არ იცით, ზედმეტია თქვენთან საუბარი, გთხოვთ დაგვანებოთ თავი! მე თქვენ უფრო პატიოსანი კაცი მეგონეთ! და როცა ნინამ ეს ყმაწვილი ესეთი პასუხით გაისტუმრა... მოიგონე, ნინა,—ვის შეადარე შენ მაშინ ის? რა კარგი ბიჭია ვასო; იმასაც ხომ მოსწონს ნინა, მაგრამ არ ამბობს. მან იცის, რომ არ ვარგა ეს, უსინდისობაა ეს... ყოჩაღ, ვასო!

ნინას გაეცინა გულში. ვასო საუკეთესო ტაქტიკას ადგა მიზნის მისაღწევათ!

— მაშასადამე როდის ვუღალატე მე გიორგის? რამდენი ხანია მე იმას ვატყუებ!... რამდენი ხანია!

ნინას პირზე ღიმილი ადგა, ბამცინავი, მწარე ღიმილი. ნინა დასცინოდა თავის თავს...

### XIII

მაშასადამე ის, რასაც არშიყობას ეძახიან დიდი ხანია არსებობდა მათ შორის. და ნინამ ეხლა იცის, რომ მაშინაც იცოდა ეს და არაფერი საწინააღმდეგო

*) იხ. „ჩვენი ცხოვრება“ № 16.

ქუთაისის განყოფილება ამხანაგობა პაიებით ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. ტფილისში, გიორგიევსკში, არდონში, პიატიგორსკში და გროზნაში.
Кут. Отд. Т-во на паяхъ С. М. КИРАКОЗОВЪ и Б. Г. ОГАНОВЪ
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
полученъ огромный выборъ Сатины, батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситцы и другихъ тканей съ модной каймой.

თავისი მხედრებით; მოსვლაზე ოსმალებმა სროლა შეწყვიტეს; საღამოს ნიკიტინს კიდევ მოეშველა სიმკო თავისი მხედრებით. ოსმალებმა სროლის შეწყვეტის შემდეგ გზათ მოკლეს კოტურელი მწყემსი ქურთი და გაირეკეს მისი საქონელი.

**ოსმალეთი.**

**კონსტანტინოპოლი.** პარლამენტის კრება ისევ განახლდა. კამათია უყარონ კენჭი საკითხს: გამოეცხადოს სრული ნდობა ახალ კაბინეტს, თუ არა. კენჭის ყრით სრული ნდობა გამოეცხადა კაბინეტს. ხმა მისცა 113-მა 45-ის წინააღმდეგ.

აჯანყება ალბანეთში.

**პრიშტინი.** ალბანელებმა სენატის კომისიის საშუალებით სულთანს მოთხოვეს 48 საათის განმავლობაში დაითხოვოს პარლამენტი.

ოსმალეთ-იტალიის ომი.

**სუეცი.** იტალიის ფლოტიდან ერთმა სწრაფნავმა არხი გაიარა და გაემართა იმ ესკადრისკენ, რომელიც არაბეთის ნაპირებს დარაჯობს.

## ილია ხონელის ხსოვნას.

დღეს, 20 ივლისს, 12 წელი შესრულდა მას აქეთ, რაც მიწას მივაბარეთ ნიჭიერი და გულწრფელი პუბლიცისტი ილია ხონელი (ბახტაძე). განსვენებულს იმდენათ ფართო მასა ვერ იცნობს, რამდენათ ინტელიგენცია და ჟურნალისტები. ეს გარემოება, რასაკვირველია, ილიას სრულებით არ ამცირებს. ამის მიზეზია უპირველეს ყოვლისა თვით ხასიათი პუბლიცისტიკისა, რომელსაც შედარებით დროებითი მნიშვნელობა აქვს, იგი აშუქებს და ემსახურება განსაზღვრულ დროის პირობებს, რის გამო ამა თუ იმ პუბლიცისტს, ხშირათ ნიჭიერსაც, მალე ივიწყებს საზოგადოება. მაგრამ ისეთია პუბლიცისტი კი, რომელიც ღრმათ ჩაწვდენია თანამედროვე ცხოვრებას და მეცნიერებას, თვალსაზრისით შეიარაღებულს ნიჭიერათ გადმოუშლია საზოგადოებისათვის ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის მიზეზ-შედეგი, ვიმეორებ—ასეთი პუბლიცისტი დიდხანს იცხოვრებს ხალხის გულში და მისი ადგილი აზროვნების განვითარების ისტორიაში მუდამ საპატიო იქნება. შემცდარი არ ვიქნებით, თუ ასეთ პუბლიცისტთა რიცხვში ილია ხონელსაც მოვათავსებთ. მართალია ბევრ მის ნაწერს დროებითი და წარმავალი ხასიათი ქონდა, მაგრამ ბევრი ისეთიცა აქვს, რომ დღესაც სასარგებლო იქნება მკითხველისათვის. რომ მას ვერ იცნობს ფართე საზოგადოება ამის მიზეზთაგანი ისიც არის, რომ მისი ნაწერები გაბნეულია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და იმათ მოსაგროვებლათ თავი არავის შეუწუხებია და არც რაიმე იმედია, რომ შეიწუხონ.

მახსოვს, ამ ორი წლის წინათ, როცა ილიას გარდაცვალების 10 წლის თავი შესრულდა, გაზეთებში სწერდენ, რომ განსვენებულის ნაწერებს ბეჭდავენ, ძეგლს უდგამენ ხონშიო და სხვა ამგვარი. იმ დროს ხონში ცალკე კომიტეტიც შედგა, რომელმაც მიზნათ დაისახა, რომ ნიჭიერი პუბლიცისტი გაეცნოთ რამდენათაც შესაძლებელი იქნებოდა ფართე მასისათვის და ძეგლის ასაგებათ ფული შეეგროვებიათ; მგონი მისი ნაწერების გამოცემაც კი ქონდათ აზრათ... მაგრამ, როგორც ვატყობ, განზრახვა განზრახვათვე რჩება, კომიტეტი ხელსაც არ ანძრევს და ნიჭიერ მწერალს არა თუ სხვაგან, ხონშიაც ვერ იცნობს დაბალი ხალხი; მგონი, ღმერთო შეგცოდე და... ინტელიგენტებიდანაც კი... კომიტეტის წევრებს ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ სახალხო კითხვა გაემართათ და ილიას ესა თუ ის ნაწარმოები წაეკითხათ. რას უნდა მივაწეროთ ასეთი უყურადღებობა?

რამდენათაც ვიცი განსვენებულს ყავს ისეთი ნათესავები, რომელთაც, თუ კი მოისურვებენ, ადვილათ შეუძლიათ ილიას ზოგიერთი ნაწერების გამოცემა. მივაქცევ ამ გარემოებას მათ ყურადღებას; ეცადონ და შეიძლება იმდენი მაინც მოახერხონ, რომ განსვენებულის გარდაცვალების 15 წლის თავზე გამოსცენ ერთი ტომი მაინც მისი რჩეული ნაწერებისა. ილია, როგორც ვიცით, ბევრს რუსულათ სწერდა; ამისათვის საჭიროა, რომ მცოდნე პირებმა ეს ნაწერები ქართულათ გადმოიღონ და ისე მიაწოდონ მკითხველ საზოგადოებას.

უნდა იცოდენ განსვენებულის ახლო ნათესავებმა და მეგობრებმა, რომ ილიას საფლავს ისინი ამაზე უკეთეს ძეგლს ვერ დაადგამენ.

ვ. მა—იაშვილი

## დ. ლანჩხუთში განზრახულ პროგიმნაზიის შესახებ.

ჩვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული, რომ მომავალ სექტემბრიდან მასწავლებელი ქალი კატო ფხაკაძე აპირებს დ. ლანჩხუთში კერძო პროგიმნაზიის გახსნას. კაი ხანია, რაც ერთი რიგიანი საქალებო შკოლის საჭიროება უკვე იგრძნო ლანჩხუთმა და ამ რამდენიმე წლის წინათ განზრახვაცა ქონდა მისი დაარსებისა, მაგრამ ჩვეულებრივი კინკლაობისა თუ სხვა მიზეზების გამო, ჯერხანად არაფერი სჩანს. შეიძლება მომავალში ეს აზრი კიდეც განხორციელდეს, მაგრამ „სანამ პეტრე მოვიდოდეს“, ვინ იცის, რა მოუვა პავლეს?—ამიტომ, ჩემის აზრით, ქ-ნი ფხაკაძის განზრახვა ლანჩხუთლებისათვის პირდაპირ „სულზე მისწრებაა“. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს გამოცდილი მასწავლებელი, მომავალ სასწავლებელს სასურველ ნიადაგზე დააყენებს. ეს, რა თქმა უნდა თვით მასწავლებლის ინტერესსაც შეადგენს, მაგრამ რამდენათაც ჩვენ ქ-ნ ფხაკაძის ქალს ვიცნობთ, ის ამ საქმეში საზოგადო ინტერესებით უფრო იხელმძღვანელებს, ვიდრე პირადით. ამიტომაც საზოგადოება მოვალეა ხელი გაუწოდოს მას. ამას მე მარტო ლანჩხუთელების საყურადღებოთ არ ვამბობ. ლანჩხუთელები უჩემოდაც კარგათ იცნობენ მას. ჩემი წერილის მიზანს უმთავრესათ ის შეადგენს, რომ მახლობელ საზოგადოებებმაც გაიგონ ეს ამბავი და თუ ვინმესთვის საჭირო იქნება, კიდეც ისარგებლონ ამ დაწესებულებით. ქალთა განათლების საკითხი ჩვენში, განსაკუთრებით გურიაში, აგერ-აგერ გაუთანასწორდება ვაჟთა განათლების საკითხს. მაშასადამე, დ. ლანჩხუთში განზრახული საქალებო სასწავლებელი, რომ დიდს დახმარებას გაგვიწევს ამ მხრით, ეჭვს გარეშეა. რაც შეეხება საზოგადოთ კერძო სასწავლებლებს, აუარებელი მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ კერძო სასწავლებლები ბევრი მხრით ხშირათ კიდეც სჯობნიან მთავრობის სასწავლებლებს. მაშ, ვისურვოთ, რომ განზრახული სასწავლებელი გადაქცეულიყოს ქალთა განათლების კერად ჩვენს კუთხეში.

ნარ-ქან.

# რუსეთი.

(გაზეთებიდან).

**სიტყვის თავისუფლება.** კოვნაში ხუთასი მანეთით დააჯარიმეს ადგილობრივი გაზეთი.

— ადმინისტრაციამ დააკავა ჟურნალ „სოვრემენნი მირი“-ს ივლისის ნომერი, რადგანაც შიგ მოთავსებული იყო ლექსი „სისხლი“.

**გაფიცვები.** კოსტრომაში გაიფიცა ხუთასი მუშა, მოთხოვნილებანი ეკონომიურია. გაფიცულთა კრება პოლიციამ გაფანტა.

— ირკუტსკში გაფიცული იყვნენ მაკუშინის სტამბის მუშები, რომელთადმი სოლიდარობის გამოსაცხადებლათ ყველა სტამბების მუშები გაიფიცენ, ასე რომ ირკუტსკში გაზეთების გამოსვლა შეჩერებულია.

— შავლიში დასრულდა კოკანის ქარხნის მუშების გაფიცვა; მუშებს ხელფასი მოუმატეს ათი პროცენტით.

— მოსკოვში ამ ბოლო დროს თითქმის ყველა აგურის ქარხნებში გაფიცვა იყო. მუშები ხელფასის მომატებას მოითხოვდენ; გაფიცულთ შედარებით მალე აკმაყოფილებდენ, რადგან ამ ხანათ მოსკოვში დიდი მოთხოვნილებაა აგურისა.

— რიგაში გაიფიცენ შპილბერგის ქარხნის მუშებში,

**ლენის მუშები.** „რუს. ვედომოსტს“ კირენსკიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ იქ მისულა ლენის ყოფილი მუშების პირველი პარტია, გზაში, სადაც მუშებს გაჩერება უხდებათ, მათის თხოვნით იხურება არაყის სავაჭრო დუქნები. მუშები კარგ გუნებაზე არიან; არავინ არ ავადმყოფობს. ყოველ შემთხვევისათვის თან ახლავთ ფერშალი.

**მუშათა დაზღვევა**, როგორც ვიცით, ამ მოკლე დროში ძალაში შევიდა კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ; თანახმათ ამ კანონის პეტერბურგში დაარსებულ იქნება 185 სავათმყოფოთა კასა, ე. ი. იმდენი, რამდენიც არის მუშიანი ქარხანა. იქ კი, სადაც მაზე ნაკლებია მუშათა რიცხვი, უნდა დაწესდეს ეგრეთწოდებული შერეული კასები, რომლების წევრებათ იქნებიან რამოდენიმე ქარხნის მუშები. ამგვარ კასების რიცხვი ორმოცი იქნება. პირველი ტიპის კასებში დაზღვეულ იქნება 130 ათასი მუშა, მეორის—45 ათასი.

**ჩხრეკა.** „რეჩის“ გადმოცემით რიგის ჟანდარმერიის ტუსაღში ჩხრეკა მოუხდენია, რომლის შედეგი ყოფილა მრავალი პროკლამაციის აღმოჩენა.

# უცხოეთი.

(გაზეთებიდან)

**ალბანეთი**

როგორც უკანასკნელი ცნობებით ვიცით, აჯანყებულმა ალბანეთმა უკვე აიძულა ოსმალეთის მთავრობა დათმობის გზაზე შემდგარიყო. ეს გარემოება აიხსნება, რასაკვირველია, იმით, რომ მთავრობისათვის აშკარა შეიქნა აჯანყებულთა ძალა. მთელი ალბანეთი შეიარაღებულია და ბრძოლის ველზე დგას. ქალაქ დიაკოვოს ახლო თორმეტი ათასი შეიარაღებული ალბანელია. სხვა ადგილებიც —ტირანი, სალონი, არსი, ელბასონი, არგიროსტრო და სხვა, აჯანყებულებითაა ავსილი. ისინი ახალი სისტემის თოფებით არიან შეიარაღებულნი, აქვთ არტილერიაც. აჯანყებულთა მეთაურებში პირველი ადგილი უჭირავთ ისა ბალეტინაცს და თაიარ-ბეის. მთელ მოძრაობას ხელმძღვანელობს ცენტრალური კომიტეტი, რომლის ოფიციალური წარმომადგენელი არის ნეჯიბ-ბეი დრასა. კომიტეტმა გამოაცხადა თავის მოქმედების გეგმა: ჯერ უნდა მოიწვიონ სხვა და სხვა ადგილებიდან აჯანყებულთა მეთაურნი, რომელნიც ერთად გამოიმუშავებენ ოსმალეთის მთავრობის წინაშე ულტიმატიურ მოთხოვნილებებს. ამ მოთხოვნილებათა მუხლები შედგენილი აქვს ცენტრალურ კომიტეტს. შემდეგი ტაქტიკური ნაბიჯებიც ამ დროს გამომუშავდება. აჯანყებულნი ბრძოლის ველისკენ მიეშურებიან და ყოველ წუთს მზათ არიან სტამბოლ ქალაქზე იერიშით მივიდნენ. ალბათ ამის შიშით იყო, რომ ოსმალეთის მთავრობა კომპრომისის გზაზე დადგა.

**სპარსეთი**

ამას წინეთ სპარსეთიდან ინგლისში დაბრუნდა ლამინგტონი, რომელიც ერთი უმთავრეს წევრთაგანია სპარსეთის საქმეთა მომწესრიგებელ კომიტეტისა. ლამინგტონის აზრით ინგლის-რუსეთის შეთანხმებამ დიდი ვნება მიაყენა სპარსეთის დამოუკიდებლობას და ერთიანობას; სპარსეთის დღევანდელ უწესრიგობასაც ამ გარემოებით ხსნის იგი. ეს აზრი ლორდთა პალატაში იყო წარმოთქმული. ლამინგტონს მხარი დაუჭირა კერზონმა, რომელმაც გაკიცხვა გამოუცხადა ინგლისის მთავრობას, რუსეთთან ერთად ორჭოფ მოქმედებისათვის, რამაც სპარსეთის ჩრდილოეთის ნაწილის რუსეთის ხელში ფაქტიურათ გადასვლა გამოიწვია. ორივე ორატორი ამტყუნებდა ინგლისის დიპლომატიას იმაში, რომ იგი ერთობ გაუბედავათ იქცეოდა და რუსეთის მთავრობას ბევრ რამეში დაუთმეს. მთავრობის წარმომადგენელი ეცადა თავი ემართლებია—მისი აზრით ინგლის-რუსეთის შეთანხმებამ სპარსეთი დაიხსნა სრულ დაღუპვისაგან და სხვა ასეთები. მან განაცხადა—ჩვენ გვინდა სპარსეთი დავიხსნათ გაჭირვებულ ფინანსიურ მდგომარეობისაგან და თან პარლამენტარიზმს ნიადაგი მოვუმზადოთ მასშიო. თუ რა ფასი აქვს ასეთ განცხადებებს, ეს ყველამ იცის. ინგლისის ფილისტერ პოლიტიკოსებს ამგვარის დაპირებით უნდათ რუსეთთან ერთად თავი გაიმართლონ ჯერ თანამედროვე კაცობრიობის და მერმე ისტორიის წინაშე იმ დანაშაულისათვის, რომელსაც ახალგაზრდა სპარსეთის ფეხქვეშ გათელვა ეწოდება. ასეთია ბურჟუაზიული მორალი.

# მეოთხე დუმის გარშემო.

ხარკოვში გაზეთ „უტროს“ რედაქციაში მოწყობილია ბიურო, რომელიც ამომრჩევლებს თავის დროზე აწვდის ყოველგვარ ცნობებს და განმარტებებს არჩევნების შესახებ.

— კაზანში შედგა უპარტიო ამომრჩეველთა კომიტეტი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს არჩევნების სახელმძღვანელოთ გამოსცეს კვირეული გაზეთი.

— კოვნაში ლიტოველმა პროგრესისტებმა გადასწყვიტეს სოფლების ჩამოვლა იმ მიზნით, რომ გლეხებს აუხსნან და განუმარტონ საარჩევნო კანონი.

— ჩვენში კარგად ცნობილი მისიონერი ვოსტორგოვი ერთობ კურიოზულ მდგომარეობაში ჩავარდნილა. მთელი ციმბირის მოვლის შემდეგ, იმ დასკვნამდე მისულა, რომ მემარჯვენეთ ამ მხარეში დუმის არჩევნებში გამარჯვება ოცნებაშიც არ უნდა გაიტარონ. ამ გვარი მოხსენება ვოსტორგოვმა უწმ. სინოდის პროკურორს საბლერს წარუდგინა და თან დასძინა: ამნაირათ მეოთხე დუმის იმედი ნუ გვექნება და ისევ ვეცადოთ, რომ მეხუთე დუმაში გავიმარჯვოთო. ამ მიზნით ის ურჩევს სინოდს, რომ ციმბირში გახსნილ იქნას რამოდენიმე ათასი სამრევლო შკოლა.

— დვინსკის ამომრჩევლები ერთობ გამოცოცხლდენ ამ ბოლო დროს. „რუს. სლ.“ ცნობით ბევრი მათგანი საათობით სხედან პოლიციის განყოფილებაში და ელიან საჭირო მოწმობების აღებას.

— მემარჯვენე გაზეთი „ვოლინსკი ვესტნიკი“ თხოვნით მიმართავს მთავრობას, რომ ათიათასი მანეთით დახმარება აღმოუჩინოს, რათა ამ არჩევნების დროს გაზეთმა იარსებოს.

— ნოვოროსისკის შავრაზმელებს რაკი აგიტატორები არ ყოლიათ, გადაუწყვეტიათ, რომ გამოიწერონ თავიანთი ლიდერების სიტყვები და უკითხონ ამომრჩევლებს.

— ვოლჩანსკში პროგრესიული ბლოკი სახელმწიფო დუმის დეპუტატათ აყენებს სოციალდემოკრატ ზასტელას კანდიდატურას.

— „კიევსკაია მისლის“ ცნობით ლატიშელ სოციალდემოკრატებს კონფერენცია მოუხდენიათ, რომელიც გაგრძელებულა ორი დღე. კონფერენციაზე არჩევნების საკითხი ყოფილა დასმული. გადაუწყვეტიათ დაარსონ ცალკე საარჩევნო ფონდი და გასწიონ ენერგიული აგიტაცია.

# დაბა-სოფელი.

(შკოლის შენობის გადატანის გამო).

**ს. ეწერი.** (სამტრედიის რაიონი). კარგა ხანია ჩვენი სოფლის უმრავლესობა სახალხო შკოლების დირექციასთან ერთათ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეწერის ორკლასიანი შკოლა მეტათ უხერხულ ალაგზეა აგებული. ამასთან შენობა ძველია და პატარა, რაც მის გადაკეთებას აუცილებლათ ხდის. ამნაირათ ეწერელებს უნდა გადაეწყვიტათ: გადაიტანონ შკოლა ახალ ადგილზე და ააგონ ახალი შენობა თუ არა? შკოლის შენობის შეკეთება—გადიდება ერთხმათ გადაწყდა ყველა მონაწილეთაგან, რაზედაც შედგა სათანადო განაჩენი და შეიკრიბა კიდეც ახალი შენობისთვის საჭირო ფული. მარა მეორე კითხვამ, დარჩეს შკოლა ძველ ადგილზე, თუ გადაიტანონ იგი, გამოიწვია განხეთქილება და კითხვა დღესაც გადაუწყვეტელია. დღეს სახალხო შკოლების დირექცია ისევ ეკითხება სოფლელებს: გსურთ შკოლის გადატანა და თუ გსურთ, დაასახელეთ სად გსურთო; დაადგინეთ ამის შესახებ სათანადო განაჩენიო. მოგეხსენებათ სამოსწავლო წლის დასაწყისი მოახლოვებულია: პირველ სექტემბერს შკოლის შენობა მზათ უნდა იყოს და თუ იმ დროისთვის არ იქნა ეს კითხვა გადაჭრილი და განხორციელებული, ხალხი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება: ის იძულებული იქნება ან ყველაფერი ისევ „ძველებურათ“ დატოვოს, რაც დიდ გასაჭირს აყენებს მას, ან და დაიქირაოს შკოლისთვის ახალ ადგილზე კერძო შენობა, რაც ძნელათ საშოვარია და თუ იშოვება, ისიც შკოლისთვის უვარგისი იქნება; ამასთან ყველაფერი ეს იწვევს ზედმეტ უსარგებლო ხარჯს. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ახლავე ჩაუფიქრდენ ამ კითხვას მცხოვრებნი და ახლავე გადაწყვიტონ: თუ გადიტანებენ შკოლის, სად ააგონ შენობა? ამის შესახებ „ჩვენი ცხოვრების“ მე-6 ნომერში უკვე წერდა „ეწერელი გლეხი“, რომელიც გვითითებდა ერთ ადგილზე, სახელდობრ „წყაროს თავზე“. ადგილი მართლაც კარგია, მარა თავი და თავი, ჩვენი აზრით, საჭიროა შკოლა

---

არ ქონდა. იცოდა მაგრამ გარკვეულათ არ იცოდა. და ასე მიდიოდა საქმე უსიტყვოთ, შეუგნებლათ მან ნება მისცა ვასო ზამბახიძეს იმედი ქონოდა. დადგა უკანასკნელი გაზაფხული. შეიძლება ეს გაზაფხული გავდა ყველა სხვა გაზაფხულებს საქართველოში. შეიძლება წინეთაც ასეთი შეხავებული და ნაზი ამიდი იდგა. შეიძლება წინეთაც ისე ლამაზი იყო, ჯერ კიდევ თებერვალში გამოტანილი გასასყიდათ იის კონები... შეიძლება წინეთაც ასე გრძნობდა ადამიანი ალერსისა და სიყვარულის წყურვილს, ასე აღონებდა მას მარტოობა და უტოლობა. შეიძლება ყველაფერი ასე იყო ყოველთვის, მაგრამ ნინასთვის, თვით არ იცის რათ, რაღაც განსაკუთრებული იყო ეს გაზაფხული.

გახსოვთ თუ არა თქვენ, ერთი აუცილებელი მომენტი ბავშობაში! მომენტი, როცა შენ თითქოს პირველათ დაინახე ქვეყნიერება—მომენტი სიმშვენიერის გრძნობის პირველათ გაღვიძებისა, როცა პირველათ იგრძენი, რომ ლამაზია, მშვენიერია საგანი; როცა შენს არსებაში პირველათ შედის ეს შეგნება. არ ვიცი მერამდენე წელში ხთება ეს, არ მახსოვს. ვფიქრობ, რომ არ შეიძლება განსაზღვრა ამ დროის, რომ სხვადასხვა ბავშვს, სხვა და სხვა წლოვანებაზე უდგება ეს მომენტი. თვით ეს მომენტი კი აუცილებელია ბავშის ცხოვრებაში და უცებ ის იღვიძებს, თითქოს აჭყეტს თვალებს, თითქოს პირველათ ხედავს ყველაფერს. წინეთაც ხედავდა ყველაფერს. წინეთაც ხედავდა, მაგრამ ეს არ არის ის, ეს აჯადოებს მას. ეს ავიწყებს ერთს დღემდე შეურყეველ ჭეშმარიტებას, იმ ჭეშმარიტებას, რომ ის ბავში ცენტრია ყველაფრის, ის არის მხოლოთ; რომ დედაც, ძუძუებიც, ალერსიც, სათამაშოებიც, რომ ყველაფერი ეს მხოლოთ მასშია. და უცებ ის აჭყეტს თვალს და ხედავს, რომ მას გარდა კიდევ ყოფილა სხვაც, და რომ ეს სხვა მშვენიერია და კარგი და რაც უმთავრესია,—ეს სხვა არსებობს თავისთავათ, უმისოთ, და რომ ეს აღმოჩენა მოახთინა მან, რომ მისამდე ეს არავის უნახავს, რომ არც ყოფილა არაფერი აქამდე. და კიდეც ეშინია მას და აღტაცებულიც არის, კიდეც უნდა წავიდეს ქვეყნიერებაში, ყველაფერს ხელი მოკიდოს, მიეალერსოს და... და დედასაც დაანახოს ის. და ის ღელავს, კრთის,—ღუღუნებს, დარბის, არ იცის რა ქნას და ბოლოს დედის კალთაში ფარავს სახეს და ეკვრის, ეალერსება დედას.

რაღაც ამის მზგავსს გრძნობდა ნინაც ამ გაზაფხულზე და როგორც ბავში, იბნეოდა, არ იცოდა რა ექნა. და ვერ დგებოდა ის ერთ ალაგას, ვერ ისვენებდა. მორჩებოდა თუ არა გაკვეთილებს, ის ხან ბავშთან ერთათ, ხან კი უმისოთ თითქოს ყოველ-დღე გადიოდა ქალაქ გარეთ და სეირნობდა. მას არ ახსოვს, როგორ მოხთა, რომ მას სხვებიც შეუერთდენ და რომ დაბოლოს ამ მოსეირნეთა ერთი აუცილებელი თანამგზავრი იყო სხვათა შორის ვასო ზამბახიძეც. და ხთებოდა ყოველთვის ასე—გადიოდენ ერთ ჯგუფათ, ხოლო მინდორში გასული ეს ჯგუფი წყვილებათ იყოფოდა: ერთი ქალი, ერთი კაცი—და ამ წყვილებში ნინა და ვასო ერთ წყვილათ ხთებოდენ.

გერი.

(შემდეგი იქნება).

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ-ბის სავაჭრო სახლი

ამით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მიღებულია რკინის კოჭები (двутавровыя балки).

ალებასტრი ბახმუტის საუკეთესო ხარისხის, ცემენტი პორტლანდიის და იყიდება ზომიერ ფასებში.

# ? დავით ქეზაძე ?

მკითხველთა საყურადღებოთ

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით

## სავაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების სავაჭროში

იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და მარმარილოს პირ-საბანები და სხვა. დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების.

**პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ** აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები,

**ფასები შესამჩნევათ დაკლებულია.**

მკითხველთა საყურადღებოთ

### ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

## სავაჭრო ქ. ა. მაჭარაძის და პ. ა. ჭეიშვილის ბათუმში,

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა, № 23.

სადაც მოიპოვება საუკეთესო ხარისხის ყოველგვარი **ნივთები** როგორც: რკინის ლოგინები ცნობილ ინგლისის სისტემის, „ვაველ"-ის, ზღვის ბალახის ლებები, რბილი ავეჯეულობა, ვენის სკამები, კარალიკებით სტოლები, პირ-საბანები, შკაფები, ბუფეტები, საყინულეები, კამოდები, სარკეები, ფარფორის, ფაინსის, ემალის და ქიქის ჭურჭლები, ლამფები, ნავთით და ქვის ნახშირით ასანთები ფეჩები, სამოვრები,სტოლის და იატაკზე დასაგები კლიონკა, ლინოლეუმები და სხვა...

აქვეა საწყობი ცნობილ „სამხრეთ-რუსის აქციონერულ საზოგადოების" ლუდის (პივოს) ქარხნისა 0—1

**ფასები ყველა საქონელზე ხელმისაწდომია.**


დაარსდეს შუაგულ ალაგას, ცენტრში, რომ ყველა მონაწილეთათვის თანაბრათ ხელმისაწდომი იყოს; და თუ სამწუხაროთ, მაინცა და მაინც ეს შუაგული ადგილი უვარგისი აღმოჩნდება, მაშინ არჩეული კომისია მის მახლობლათ შესაფერ ადგილს გამოძებნის. ჩვენ უსაფუძვლოთ მიგვაჩნია მანამ ადგილის დასახელება, ვიდრე არ გამოინახება დაინტერესებულ სოფლების ცენტრი. უკიდურეს შემთხვევაში, თუ შუაგული ადგილი უვარგისი ქნება, ხოლო შესაფერი ადგილი მეტათ დაშორებული მისგან, ხალხი იკისრებს ხელოვნურათ მის გაკეთებას, ახალი გზების გაყვანას, ადგილის ყოველმხრივ გამშვენიერებას და სხვა... მაშ ასე: უნდა შეერთდენ, შეთანხმდენ ყველა მონაწილე სოფლები და კუთხეები და ახლავე შეუდგენ საქმეს: აირჩიონ კომისია, რომელსაც დაავალებენ ცენტრის, შუაგულ ალაგის გამოძებნას და მერე საშკოლო მიწის შეძენასაც. მხოლოთ საჭიროა ხალხმა ახლავე განუსაზღვროს ფარგალი, რომლის საზღვრებშიაც მან (კომისიამ) უნდა ეძიოს ის სასურველი შუაგული ადგილი. ჩვენი აზრით საჭიროა არჩეულმა კომისიამ მიიღოს მხედველობაში შემდეგი მოსაზრება: მონაწილე სოფლებ-კუთხეების ცენტრი უნდა აღინიშნოს უთუოთ ძველი შარა კულაშ—იანეთის გზაზე, რომელიც შუაზე ჰკრის მონაწილეთა ტერიტორიას და აკავშირებს ორ მთავარ ქუჩას: ჯიქთუბან-ახალსოფლისას და დათვურ-ოჭოფასას. აი ეს კულაშ-იანეთის ძველი შარა-გზა უნდა გაიზომოს იქედან, სადაც ს. ეწრის პირველი მოსახლე გვხდება,— იქამდე, სადაც გვიმრალას უკანასკნელი მოსახლეა; ან და ასე: გაიზომოს იქედან, სადაც კულაშ-იანეთის გზა გადაჰკრის დათვურ-ეწერის გზას—იქამდე, სადაც იგივე კულაშ-იანეთის გზა ჰკრის ჯიქთუბან-ახალსოფლის გზას. აი საზომი, რომლითაც უნდა მოინახოს შუაგული ადგილი ამ კულაშ-იანეთის გზაზე. ეს იქნება ყველას დამაკმაყოფილებელი და კიდეც შევთანხმდებით ძმურათ, მეგობრულათ.

**გვიმრალელი.**

## მუშათა ცხოვრება.

**თფილისის რკ. გზ. დეპო.** საშინელია აქაური მუშა-ხელოსნების ცხოვრება. ისეთ რამეს გვახვევენ თავზე, რაც ფიქრადაც არ მოუვა არც ერთ ჩვენთაგანს. ერთმა „დესიატნიკ"-თაგანმა გასული წლის სექტემბერში ისე მოახერხა რომ ვითომ მას მოსაკლავათ ესროლეს რევოლვერი, როდესაც ის სამსახურში იმყოფებოდა. მაგრამ, უხერხული შეიქნა მისი მოქმედება, და სროლა მუშა-ხელოსნებს გვდარ მოახვიეს. ამნაირათ გასაჭირს ავცდით. რომ მუშებში რაიმე ილიუზიები არ დაბადებულიყო, ამ საეჭვო შემთხვევამ შესაფერი ახსნა-განმარტება მიიღო მაშინ. ამ თვის პირველში ისევ ის ამბავი განმეორდა უფრო აშკარა ფორმით და მასთან საშვალება მოგვეცა სიმართლე დაგვენახვებია ყველასათვის. როდესაც ბ. ს—ოვი ღამით სამსახურში იმყოფებოდა, დაახლოებით საათის 11—12-ზე, როგორც ის ლაპარაკობს, მარტოთ მყოფს „ესროლეს", მაგრამ მისდა საბედნიეროთ წულით სავსე ჩაინიკს „მოხვდა" და სულ ერთიანათ დაამტვრია. ჟანდრების გამოკვლევამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა გარდა გატეხილი ჩაინიკისა და ერთი ტყვიის გილზისა, რომელიც იქვე იპოვეს. ჩაინიკზე და კედლებზე ვერავითარი ნიშნები ვერ იპოვეს; ჟანდრებმა შესაფერი მოხსენება წარუდგინეს თავიანთ უფროსს. თვით ბ—ოვი დილას ჩაერია მუშა-ხელოსნებს და იმუქრებოდა: ყველას ცივ ქვეყნებში გიკრავთ თავსო. საკვირველია, რა აქვს მას სადაო მუშებთან. რევიზორი დეპოში მის გარდა ორია და ისინიც ისეთივე თანამდებობას ასრულებენ, როგორც ბ. ოვი. მათ უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს, ორთქლმავლების წესიერ მიმოსვლას ადევნონ თვალ-ყური. მუშებსა და მათ შორის არაფერი საერთო არ არსებობს. მუშა-ხელოსნებს თავისი პირდაპირი უფროსები ყავთ. და საკვირველია რატომ მარტო ბ. ოვს „ესვრიან" და სხვებს მის ამხანაგებს არა, მაშინ როდესაც ისინიც იმავე თანამდებობას ასრულებენ, რასაც ბ. ოვი. აქ ყველასათვის ცხადია, თუ რა სურს ამ თანამედროვე „გმირს". ბ. ოვის მუქარას ვინ ჩივოდა, უფრო მაღალი სფერებიდან ასე გვიპასუხეს: „თუ კიდევ ასეთი რამ განმეორდა დეპოში, აქაც იმ საშვალებას მივმართავთ, რაც შორაპნის მუშების წინააღმდეგ იხმარესო". ჩვენ არ გვაქვს გარანტია, რომ ხვალ კიდევ არ მოახდენს ეს ვაჟბატონი ამფერ საგმირო საქმეს და ცივი ქვეყნებისკენ არ გვიკრავს თავს. დეპოს ყველა მუშა-ხელოსნებმა გავითვალისწინეთ რა, ზემო აღნიშნული მიზეზები და ასეთი მოქმედებიდან მოსალოდნელი უბედურება, გადავწყვიტეთ გაზეთის საშუალებით ვამცნოთ მთელ საზოგადოებას, რომ ჩვენზე რაიმე ყალბი შეხედულება არ იქონიონ, ვაცხადებთ: ჩვენ მუშა-ხელოსნებს არავითარი ანგარიში და საპირადო ან სხვა ბოროტი აზრი არა გვაქვს ბ.—ოვის წინააღმდეგ. ეს მხოლოთ მისი საკუთარი მოგონილი ხრიკებია. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ასეთი საზიზღრობისა, და არც გაგვივლია გულში ასეთი რამე". საზოგადოებაში ისეთი ხმებიც დადის, ეს სროლა თვითონ მისი მოწყობილია, რომ უმთავრეს სამართველოში „თბილი ადგილი" ჩაიგდოს ხელში. ღმერთმა ხელი მოუმართოს, თუ აღმატება სურს, მარა ჩვენ რას გვერჩის. კაცობით ეძიოს წარჩინება, ის არ სჯობია— ჩვენს აწიოკებას?

ვთხოვთ ადგილობრივ—რუსულ გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს წერილი.

მუშების მინდობილობით—**შეერთებული.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი ამ ჩემს მცირე წერილს.

ამას წინათ პრესის საშვალებით მე მოვთხოვე ექიმ ჯაშს განმარტება იმ ინცინდენტისა, რომელიც მე და მათ შორის მოხთა და თან წინადადებას ვაძლევდი გამომყოლოდა სამ ედიატორო სამართალში. ბ. ჯაში განმარტების მაგიერ „კოლხიდას" ფურცლიდან აქეთ გვედავება—თითქო მე მისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებიოს. მე თქვენთვის ბ. ექიმო, არავითარი შეურაცხყოფა არ მომიყენებია. როგორც ექიმი ავათმყოფთან მოგიწვიეთ. გასამრჯელოც მოგართვით, რომელიც თქვენ უკან დამიბრუნეთ. შეიძლება თქვენ იმას სთვლით უზრდელობათ, რომ ჩემმა ნათესავმა მძიმე ავათმყოფთან სხვა ექიმიც მოიყვანა?

დასასრულ, ბ. ექიმო, მე მოვითხოვ შესცვალოთ თქვენი პირობები მედიატორეთა არჩევისა მომხრე ვარ ავირჩიოთ არა მხოლოთ განსაზღვრული პროფესიის, არამედ სხვა პრაფესიისაც. ხოლო თუ საჭირო იქნება სპეციალისტი, ისინი თვითონ მოიწვევენ. გთხოვთ თქვენ დაასახელოთ ვინც გნებავთ. მე მაშინვე მოგახსენებთ ჩემს მედიატორეებს. მტყუანმა მხარემ უნდა გადაიხადოს 100 მანეთი წ. კ. გ საზ. სასარგებლოთ. დადგენილება უნდა გამოცხადდეს გაზეთებში.

**მიხეილ მიქაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **ა. სულაქველიძე.**

## ქუთაისის ბაზარი.

ფუთი სიმიდის ფქვილი ღირს მანეთი და ორი შაური—ექვსი აბაზი.

ფ. სიმიდი—თუთხმეტი შაური—ოთხი აბაზი და ერთი შაური.

ფ. ლობიო—შვიდი აბაზი, ქყინტი ლობიო—შვიდი შაური.

ფ. კომბოსტო—აბაზი.

ფ. ქართოფილი—7 შაური—ორი აბაზი

ფ. ახალი ხახვი—ათ შაურიდან თოთხმეტ შაურამდე.

გირვანქა ერბო (კარაქი)—ოცდა თვრამეტი კაპიკი—ორი აბაზი

ყველი ორ გირვანქა ნახევარი (ჩარექი) —ორი აბაზი.

ყველი გირვანქა—აბაზი.

გადაზელილი ყველი (სულგუნი) წყვილი—ხუთი შაური—ექვსი.

პური ფურნისა პირველი ხარისხის—სამი გირვანქა—ცამეტი კაპიკი, მეორე ხარისხის თორმეტი კაპიკი, მესამე ხარისხის ორი შაური.

თორნის პური პირველი ხარისხის სამი გირვანქა თოთხმეტი კაპ. მეორე ხარისხის 13 კაპ.

ხორცი—ძროხისა ცამეტი კაპ.—თერთმეტი კაპ. (ადგილობრივი)

ხორცი—ცხვრისა ცამეტი კაპ.

ხორცი—კამეჩისა რვა კაპ.

ქათამი—ათი შაური—ოთხი აბაზი.

ვარია— აბაზი—ექვსი შაური.

შეშა—ურემი შვიდი აბაზიდან— ცამეტამდი.

ღვინო ადგილობრივი ფუთი—თორმეტ აბაზიდან—თექვსმეტამდი.

კიტრი—ასი ორ აბაზათ, არჩეული ათ შაურათ—რვა-ათი—შაურათ.

სხალი—ფუთი ორი აბაზი—ათი შაური.

თხილი— „ თვრამეტი შაური დაურჩეველი, ორი მანეთი დარჩეული კაკალი.

პამიდორი ფუთი—ათი შაური—სამი აბაზი.

თევზი რიონის გირვ. შვიდი შაური

ეტლი ერთი გზა ქალაქში ხუთი შაური, სადგურამდე შვიდი შაური. სადგურიდან ცხრა შაური.

### მუშა ხელი.

მიწის მუშა დღეში თავის ხარჯით—ოთხი აბაზი—მანეთი.

დურგალი ექვსი აბაზი—რვა აბაზი.

კალატოზი, რვა აბაზი—ცხრა აბაზი.

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33, 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათუმისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათუმიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.


ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია

## ძმათა ღლონტებისა

ქალაქ ფოთში (კ. რუხაძის გვერდით).

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ფოთისა და მახლობელ რაიონების საზოგადოებას, რომ ჩვენ სავაჭროში მიღებულია და ვღებულობთ ყოველ დღე დიდძალ შემდეგ საქონელს: ჭურჭლეულობა ფაიფურისა, ფაიანსისსა, ბროლისა, სპილენძისა, ემალისა, ალიუმინისა, ნიკელისა, თუჯისა და სხვა. ყოველგვარი მუზიკალური იარაღები, საპარიკმახერო ნივთები, სამოვრები, კლიონკები, სხვადასხვა ნაირი სახრაკავი მაშინკები, ლამპები ყოველგვარი გაზით მახურებელი სისტემის „Т-ВО СВѢТЪ". მაღაზიებისათვის, კანტორებისათვის და რესტორანებისათვის ვიძლევით სრული გარანტიით. აგრეთვე მიღებულია დიდძალი მელხიორის ნივთები, გვირგვინები, საკერავი მაშინები საუკეთესო სისტემის, ყოველგვარი სკამები, კრაოტები, მარმარილოს პირის საბანები, სარკეები და ყოველგვარი ავეჯეულობა, სრული მორთულობა სახლებისა, სასტუმროებისა და სხვადასხვა დაწესებულებისათვის.

ფასები დანიშნულია ზედ მიწევნით დაკლებული,

რაშიაც დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება თუ ერთჯერ მაინც კი შემობრძანდება ჩვენს სავაჭროში. პატივისცემით **ალექსანდრე** და **ლევან ღლონტები.**

## „ჯეჯილი"

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი. **ოცდა მესამე წელიწადი.** მიიღება ხელისმოწერა 1912 წლისათვის. გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა. პატარაებისათვის და მოზრდილთათვის. **ჟურნალი „ჯეჯილი"** თფილისში ღირება 4 მანეთი, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მანეთი. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი აბაზი. ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ მიმართონ: **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძეს, **ბაქოში**—ქ. მართა კვიტიაშვილს, **მიხაილოვში**—ვლად. ჩიქოვანს, **გორში**—კნ. თამარა თარხანიშვილს, **სამტრედიაში**—რაჟ. ნანეიშვილს, **თელავში**—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს, **სიღნაღში**—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს, **ჭიათურაში**—ქ. ჯაფარიძეს და ნიკო წუწუნავას, **ბათუმში**—მიხეილ კატანდაძეს.

რედ. -გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში